


ჰოდაგრის მკურნალობა

შარდმეავას ღონის განუწყვეტელ შემცირებას გულისხმობს

შარდმეავას შემცველობა სისხლის პლაზმაში



მკურნალობის სამიზნე ნიშნული: შარდმეავას შემცველობა 6 მგ/დლ ან 360 მკმოლი/ლ-ზე დაბალია

ჰოდაგრის მკურნალობა

მარტივად და გასაგებად

- შარდმჟავა ნივთიერებათა ცვლის ნარჩენი პროდუქტია. სისხლში შარდმჟავას შემცველობის სწრაფი ზრდა მცირე ზომის ნემსისებრი კრისტალების წარმოქმნას უწყობს ხელს.
- კრისტალები სახსრებსა და ორგანოებში ლაგდება და სახსრების მეტისმეტად მტკივნეულ ანთებას იწვევს, რაც ნიკრისის ქარის შეტევის სახით არის ცნობილი. დროთა განმავლობაში დაზიანება სხვა ორგანოებსაც მოიცავს.
- რაც უფრო მაღალია სისხლში შარდმჟავას დონე, მით უფრო მეტი ნემსისებრი კრისტალი ჩნდება ორგანიზმში და მით მეტად იზრდება ნიკრისის ქარის განვითარების საფრთხე.
- შარდმჟავას დონე იზომება მილიგრამებით დეცილიტრზე (მგ/დლ) ან მიკრომოლებით ლიტრზე (მკმოლი/ლ). ითვლება, რომ შარდმჟავას დონე მაღალია, თუ მისი შემცველობა ასცდა 6,4 მგ/დლ-ს ან 380 მკმოლ/ლ-ს; შარდმჟავას კრისტალები წარმოიქმნება 6.8 მგ/დლ-ს ან 404 მკმოლ/ლ-ს ნიშნულიდან, ხოლო ჰოდაგრული შეტევა უვითარდება თითქმის ყველა პაციენტს, ვისაც შარდმჟავა 9 მგ/დლ ან 535 მკმოლ/ლ-ზე მეტი აქვს.
- მკურნალობის მიზანს წარმოადგენს შარდმჟავას დონის მუდმივად 6 მგ/დლ ან 360 მკმოლ/ლ-ზე ქვემოთ შენარჩუნება: ამას ეწოდება თერაპიული სამიზნე ნიშნული. ამ დონეზე არსებული შარდმჟავა კრისტალები იშლება და ახალიც აღარ წარმოიქმნება.
- შარდმჟავას დაქვეითებას თავადაც შეძლებთ, თუკი მოერიდებით ისეთ საკვებს, რომელიც ხელს უწყობს შარდმჟავას წარმოქმნას. სისხლში შარდმჟავას სასურველი დონის მიღწევა და მუდმივი შენარჩუნება, ასევე, სათანადო მკურნალობითაა შესაძლებელი.